პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ივლისი, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 128 (9219) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ორმაგი გამარჯვება

მინსკი. ბელორუსიის დედაქალაქის მახლობლად სოფელ რატომკას ოლიმპიურ ბაზაზე თავი მოიყარეს ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა ცხენოსნებმა. აქ ერთდროულად ორი ტურნირი ტარდება, ერთი— საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის, მეორე კი საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით. განსხვავება ამ ორ შეჯიბრებას შორის ის არის, რომ სასპარტაკიადო სტარტებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 25 წლამდე ასაკის სპორტსმენებს აქვთ.

ახალგაზრდებმა ამჯერად „დაჩაგრეს“ ვეტერანები. სასპარტაკიადო ტურნირში პირველ სამ ადგილზე გასული ცხენოსნები საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორებიც გახდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლატვიელი ნორმანტას კისტერსი ორჯერ ავიდა. ერთხელ როგორც სპარტაკიადის, მეორედ, როგორც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — 50,4 საჯარიმო ქულა.

მეორე და მესამე ადგილები ბელორუსიელმა ცხენოსნებმა დაიკავეს. ვიქტორ ვიტჩაკს 53,6 საჯარიმო ქულა ჰქონდა, ალექსანდრე რაბიკინს კი — 56,4.

სასპარტაკიადო ტურნირის გუნდურ ჩათვლაში უძლიერესთა სამეული ასე გამოიყურება: 1. ბელორუსია, 2. ლატვია, 3. რუსეთის ფედერაცია.

მთის ძირიდან მწვერვალამდე

ალუშტა. გაიმართა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ორავალდღიანი ველორბოლის X და XI ეტაპები. იალტა—სევასტოპოლი—იალტა—ალუშტას 206-კილომეტრიან ტრასაზე ყველას ლატვიელმა რ. დელინშმა აჯობა. მეორე ადგილი ლატველმა ვ. კოვალიოვმა დაიკავა, მესამე — უზბეკეთის გუნდის წევრმა ი. აბრამოვმა (დრო სამივეს ერთნაირი ჰქონდა — 5:10.14).

მეთერთმეტე ეტაპის დისტანცია ყველაზე მოკლე და ამავე დროს ყველაზე რთული იყო. ველოსიპედისტებს სტარტი აი-პეტრის მთის ძირში უნდა აეღოთ, ფინიშის ხაზი კი (21 კილომეტრის გავლის შემდეგ) მწვერვალზე გადაეკვეთათ. ამ რთულ ტრასაზე პირველი ადგილი რუსეთის ფედერაციის გუნდის წევრმა ს. უსლამინმა დაისაკუთრა — 43.28. უსლამინი ლიდერობს თერმეტი ეტაპის ჯამშიც. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე ისევ რუსეთის ფედერაციის ნაკრებია.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პრიზზე



კალათბურთიც, ცეკვაც, სიმღერაც...

„ოქროს კალათი-86“ — ასე ჰქვია ნორჩ კალათბურთელთა რესპუბლიკურ ფესტივალს, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა გუშინწინ, თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში. კიროვის პარკში მოსულ გულშემატკივრებს, რომელთა უმეტესობა თვით ფესტივალის მონაწილეთა თანატოლი იყო, სიურპრიზი ელოდათ — თბილისის გუნდების „მართველსა“ და „ნორჩი დინამოელის“ შეხვედრის წინ ნორჩმა „მართველებმა“ მაყურებელს დაუმტკიცეს, რომ კალათბურთის თამაშის გარდა სიმღერა და ცეკვაც კარგად სცოდნიათ: ჯერ „ცანგალა და გოგონა“ დასჰქესს, შემდეგ კი „კინტოური“ დაუარეს (ქვედა სურათი). შემდეგ მათ სასწრაფოდ გადაიცვეს ტანსაცმელი და დინამოელ თანატოლებს შეეჯიბრნენ (მარცხნივ). მარჯვენა სურათზე აღბეჭდილი არიან ამ უკანასკნელთა სათადარიგო მოთამაშეები, რომლებიც თვალს ადევნებენ შეხვედრას.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის კლუბ „ოქროს კალათის“ პრიზს დასახელებული გუნდების გარდა ერთმანეთს ეცილებიან აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ზესტაფონისა და ჭიათურის ნორჩი კალათბურთელები. ფესტივალის ლაურეატები 4 ივლისს გამოვლინდებიან.



ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე ერთი სპორტული კოლექტივის ულირსმა საქციელმა გამოააშკარავა ხელმძღვანელობის უამრავი ფაქტი ყველა რგოლში — სპორტული კლუბიდან სამინისტრომდე. ეს საკითხი ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში კოლეგიის მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა.

იხ. მე-4 გვ.

კვლავ საგანგაშო სიგნალი ფეხბურთში რესპუბლიკური პირველობიდან.

ახალგაზრდობა, იმედი ხვალის...

ახალი სასწავლო წელი. ცხოვრების სარბიელზე გამოდის ახალი თაობა. ჩვენს მშრომელ ადამიანებს, ინტელიგენციას შეემატებიან მუშები და კოლმეურნეები, ხვალინდელი ინჟინრები და პედაგოგები, ექიმები და არქიტექტორები, მეცნიერები, XXI საუკუნის სპეციალობების კადრები. ამ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, ისევე როგორც წინა თაობებისა, ხელცარიელნი როდი გამოდიან ცხოვრების გრძელ გზაზე. ბევრ მათგანს უკვე იცნობს და პატივს სცემს ჩვენი ხალხი. პირველ ყოვლისა, სპორტისა და ხელოვნების ნორჩი ოსტატები გვყავს მხედველობაში.

უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს მოწინავე სპორტსმენთა დიდი ნაწილი გუშინდელი მოსწავლეა. სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში ჩაებმება 200-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებმაც ეს-ესაა დატოვეს სკოლის მერხი. ამდენ მოზარდ სპორტსმენს ჩვენი რესპუბლიკის სახელით ხალხთა სპარტაკიადაზე ჯერ არ უასპარეზია. ჩვენი საზოგადოებრიობა, მთლიანად რესპუბლიკა მადლობას უხდის მათ იმისათვის, რომ სწავლასთან ერთად შეძლეს სპორტშიც ესახელებინათ თავი, თავიანთი წვლილი შეეტანათ რესპუბლიკის სპორტული ტრადიციების გაღრმავება-განმტკიცებაში. ისინი ჩვენი სპორტის ხვალინდელი დღის საუკეთესო წარმომადგენლები არიან. ამიტომაც სულითა და გულით ვულოცავთ თითოეულ მათგანს სწავლის დამთავრებას, ცხოვრების დიდ სარბიელზე ფეხშედგმას. მადლობა გვინდა ვუთხრათ იმ სპორტსმენებსაც, რომლებმაც ეს-ესაა მოიხადეს სამხედრო-სავალდებულო სამსახური და კვლავ ჩადგნენ რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენთა რიგებში. სწავლა და სპორტი ამ თაობისთვის განუყრელი თანამგზავრი იქნება მომავალშიც, ბევრი მათგანი ხომ სულ მალე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს.

კეთილად გევლოთ ახალი მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე, ახალგაზრდებო!

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობა შეხვდა იმ ახალგაზრდა წამყვან სპორტსმენებს, რომლებიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სამმართველოს, სპორტული საზოგადოებების რეკომენდაციით შეყვანილი არიან რესპუბლიკის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში, წლეულს დაამთავრეს სკოლა და ცხოვრების დიდ გზაზე გამოდიან. მათ რიგებს შეუერთდნენ ისინიც, ვინც არმიაში სამსახურიდან დაბრუნდნენ.

შეკრებილთ გულთბილად მიესალმა და წარმატებები უსურვა საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ. ვეტერან სპორტსმენთა სახელით გამოვიდა სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ო. დიდებულიძე, სამადლობელი სიტყვა თქვა ჭაბუკთა პირველი საკავშირო სპორტული თამაშების ჩემპიონმა, საბჭოთა კავშირის ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების წევრმა ა. ტოტიკაშვილმა.

ეს ისინი, ვინც რესპუბლიკის სპორტულ ლაშქარს შეემატა

აკადემიური ნიჩბოსნობა

ნინო ამილახვარი — 25-ე სკოლა (თბილისი), აკადემიური ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ნინო გედოშვილი — 151-ე სკოლა (თბილისი), აკადემიური ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ალექსანდრე დემეტრაძე — 1-ლი სკოლა (ქუთაისი), აკადემიური ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ვასილ კობერიძე — 140-ე სკოლა (თბილისი), აკადემიური ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ნესტან მაისურაძე — 24-ე სკოლა (ქუთაისი), აკადემიური ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ბაბუკა სურამელაშვილი — 1-ლი სკოლა (მცხეთა), აკადემიური ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

სვეტლანა შეკუტინი — მე-8 სკოლა (რუსთავი), აკადემიური ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ჯურაგ ჩეჩვაძე — 57-ე სკოლა (თბილისი), აკადემიური ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

აკრობატიკა

ინგა გიორგობიანი — 126-ე საშუალო სკოლა (თბილისი), აკრობატიკა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

კესარია მაისურაძე — 142-ე სკოლა (თბილისი), აკრობატიკა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ლალი მელაძე — 154-ე სკოლა (თბილისი), აკრობატიკა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

იხ. მე-2 - 3 გვ.

აი ისინი, ვინც რესპუბლიკის სპორტულ ლაშქარს შეადგენ

(დასასრული)

აფროსნობა

კონსტანტინე გელეგანიშვილი — მე-60 სკოლა (თბილისი), აფროსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ბადმინტონი

ალა არშუკოვა — 25-ე სკოლა (თბილისი), ბადმინტონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ინგა გურიძე — მე-5 სკოლა (ბათუმი), ბადმინტონი, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ირინა გუხაიძე — რკინიგზის მე-12 სკოლა (ქუთაისი), ბადმინტონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

თამაზ ვარსიმაშვილი — მე-80 სკოლა (თბილისი), ბადმინტონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

კახა კობახიძე — 21-ე სკოლა (ქუთაისი), ბადმინტონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მალხაზ მეხავია — მე-13 სკოლა (ბათუმი), ბადმინტონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ირინე ჩხეტია — რკინიგზის მე-12 სკოლა (ქუთაისი), ბადმინტონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გიორგი ჯანელიძე — 21-ე სკოლა (ქუთაისი), ბადმინტონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ბაიდარა და კანოე

მერაბ ფრუიძე — 63-ე სკოლა (თბილისი), ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მამუკა ციცქიშვილი — ფოთი, სკოლა-ინტერნატი, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ზურაბ ცხოვრებოვი — 71-ე სკოლა (თბილისი), ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX სპარტაკიადისთვის.

ბალახის ჰოკეი

ჯაზა თოფურია — ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის სკოლა, ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

სულხან ბიწაძე — 143-ე პროფტექნიკური სასწავლებელი, ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „მშენებელის“ მოთამაშე.

რამაზ ბიჯირავი — 21-ე პროფტექნიკური სასწავლებელი, ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

დავით გვეტაძე — 143-ე პროფტექნიკური სასწავლებელი, ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „მშენებლის“ მოთამაშე.

ვასილ დათიაშვილი — წყალტუბოს რაიონის გეგუთის სკოლა, ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ჯაზა დათიაშვილი — წყალტუბოს რაიონის გეგუთის სკოლა, ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გია თორდია — მე-4 სკოლა (ქუთაისი), ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ლევან კირთაძე — 143-ე პროფტექნიკური სასწავლებელი, ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გელა მეტრეველი — მე-4 სკოლა (ქუთაისი), ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „მშენებელის“ მოთამაშე.

ჯაზა მიქაბერიძე — ლანჩხუთის რ-ნი, სოფ. შუხუთის სკოლა, ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „მშენებლის“ მოთამაშე.

ტარიელ მიქელთაძე — 51-ე სკოლა (თბილისი), ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ჯემალ მუკასანაძე — მე-14 სკოლა (ბათუმი), ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „მშენებელის“ მოთამაშე.

ზოთა ნუცუბიძე — მე-2 სკოლა (ქუთაისი), ბალახის ჰოკეი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „მშენებელის“ მოთამაშე.

ბატუტზე ხტომა

აკაკი გაბაშვილი — 106-ე სკოლა (თბილისი), ბატუტზე ხტომა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ველოსპორტი

კაატა ელიაშვილი — 160-ე სკოლა (თბილისი), ველოსპორტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გიორგი მუმლაძე — 1-ლი სკოლა (ზესტაფონი), ველოსპორტი, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

თავისუფალი ჭიდაობა

სოლომონ აბაშვილი — მე-17 სკოლა (თბილისი), თავისუფალი ჭიდაობა, სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ჯაზა ბენდიანიშვილი — სპორტინტერნატი, თავისუფალი ჭიდაობა, სპორტის ოსტატი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი.

ჯაზა ზეიკიძე — 154-ე სკოლა (თბილისი), თავისუფალი ჭიდაობა, სპორტის ოსტატი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი.

ზურაბ კოკილაშვილი — 54-ე სკოლა (თბილისი), თავისუფალი ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი.

მალხაზ მაისაშვილი — მე-5 პროფტექნიკუმი, თავისუფალი ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

თანამედროვე ხუთჭიდი

ალექსანდრე ოვაკიმიანი — 25-ე სკოლა (თბილისი), თანამედროვე ხუთჭიდი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების მონაწილე ცურვაში.

კალათბურთი

მალხაზ ანდღულაძე — 58-ე სკოლა (თბილისი), კალათბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ლევან გეგეშიძე — 58-ე სკოლა (თბილისი), კალათბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ირაკლი ვაშაკიძე — 58-ე სკოლა (თბილისი), კალათბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

თამარ კანდელაკი — 30-ე სკოლა (ქუთაისი), კალათბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

თამარ ლორთქიფანიძე — 58-ე სკოლა (თბილისი), კალათბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ირინა მელქაძე — 24-ე სკოლა (ქუთაისი), კალათბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ია ტაბაჩენკო — მე-14 სკოლა (თბილისი), კალათბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ეკა ხორბალაძე — 58-ე სკოლა (თბილისი), კალათბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

კლასიკური ჭიდაობა

გესიკ აფციური — 61-ე სკოლა (თბილისი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

კაატა ბერაძე — სპორტინტერნატი (თბილისი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების III პრიზიორი.

ლევან ბერიზაშვილი — 132-ე სკოლა (თბილისი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობის ჩემპიონი.

პარმენ გოგბერაშვილი — მე-7 სკოლა (ზესტაფონი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მალხაზ ვარშანიძე — მე-13 სკოლა (ბათუმი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გოგიტა კოლუაშვილი — 21-ე სკოლა (ქუთაისი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

დავით სვანაძე — მე-7 სკოლა (ქუთაისი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გია ჩაკვეტაძე — 31-ე სკოლა (ქუთაისი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ზაზა ჩაკვეტაძე — მე-3 სკოლა (ქუთაისი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ვახტანგ ხეჩინოვი — მე-10 სკოლა (ქუთაისი), კლასიკური ჭიდაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

კრივი

არჩილ გიგილური — 160-ე სკოლა (თბილისი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გოჩა გოგოლაშვილი — მე-15 სკოლა (ქუთაისი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

კოტა ვაშაყმაძე — 30-ე სკოლა (ქუთაისი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ილია თვალავაძე — მე-14 სკოლა (ქუთაისი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ალიხან თიგილოვი — მე-5 სკოლა (ცხინვალი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ვადიმ მირონოვი — 131-ე პროფტექნიკური სასწავლებელი, კრივი, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მამუკა ნუცუბიძე — 23-ე სკოლა (ქუთაისი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის,

კახაბერ სამხარაძე — 27-ე სკოლა (ქუთაისი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მამუკა სინაურიძე — მე-15 სკოლა, კრივი, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

კაატა შუბითიძე — მე-9 სკოლა (ზიათურა), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

დავით ფურცხვანიძე — 23-ე სკოლა (ქუთაისი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის,

რუბენ ქიქავა — მე-4 სკოლა (ფოთი), კრივი, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

დავით ყაზიშვილი — მე-4 სკოლა (თბილისი), კრივი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ჯამბულატ ყუფარაძე — მე-19 სკოლა (ქუთაისი), კრივი, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ვაჟა ცაციაშვილი — მე-2 სკოლა (გორი), კრივი, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მაგიდის ჩოგბურთი

ხათუნა აივაზოვა — 128-ე სკოლა (თბილისი), მაგიდის ჩოგბურთი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მშვილდოსნობა

ლელა თოფურია — 46-ე სკოლა (თბილისი), მშვილდოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ნანა იანტბელიძე — 166-ე სკოლა (თბილისი), მშვილდოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ნაზი დიასამიძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბერის სკოლა, მშვილდოსნობა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ინესა საფაროვა — 56-ე სკოლა (თბილისი), მშვილდოსნობა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ვლადიმერ სვანაძე — 61-ე სკოლა (თბილისი), მშვილდოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

მძლეოსნობა

თამარ გოგოლაძე — სპორტინტერნატი (თბილისი), მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ხათუნა დიდიძე — 24-ე სკოლა (ქუთაისი), მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გიორგი ღონღაძე — 27-ე სკოლა (თბილისი), მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშების მონაწილე.

დიმიტრი ტიმოფეევი — მე-12 სკოლა (თბილისი), მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ჯუმბერ ფანჯიკიძე — გარდაბნის საშუალო სკოლა, მძლეოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

იოსებ შავერდაშვილი — 146-ე სკოლა (თბილისი), მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

თამარ შანიძე — 162-ე სკოლა (თბილისი), მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ზურაბ შეთეკაური — სპორტინტერნატი, მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გოჩა ჩერტკოშვილი — სპორტინტერნატი (თბილისი), მძლეოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გიორგი ჯინჭარაული — სპორტინტერნატი (თბილისი), მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

გიორგი ჯაშიაშვილი — რკინიგზის მე-7 სკოლა (ზესტაფონი), მძლეოსნობა, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „მშენებელის“ მოთამაშე.

მხატვრული ტანვარჯიში

ნინო მელვინეთუხუცესი — კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

იზოლდა მთავრიშვილი — კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ნინო ხუციშვილი — კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

რეგბი

გიორგი ბრეგაძე — მე-10 სკოლა (ქუთაისი), რეგბი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „მშენებლის“ მოთამაშე.

ალექსანდრე გაბიკაშვილი — [illegible] ქუთაისის „მშენებლის“ მოთამაშე.

შალვა ბარდავაძე — [illegible] რიგოსანი, თბილისის [illegible]

გიორგი ივანაძე — 71-[illegible] პირველთანრიგოსანი, თბ[illegible]

იგორ მარიამიძე — 21-[illegible] სპორტის ოსტატობის კ[illegible] ლიგის მოთამაშე, სსრკ [illegible]

ნუგზარ მგელაძე — [illegible] გოსანი, თბილისის [illegible]

ოთარ მანიჟიშვილი — [illegible] რიგოსანი, თბილისის [illegible]

თამაზ ოდიშარია — [illegible] ტი, ქუთაისის „მშენ[illegible] სსრკ-ის პირველობის [illegible]

ლევან ოგიაძე — 166-[illegible] სანი, თბილისის „ლ[illegible]

კახა ჩაგანავა — 116-[illegible] სანი, თბილისის „ლ[illegible]

მამუკა ჩიტიანი — მე-[illegible] ბის კანდიდატი, ქუთ[illegible] მოთამაშე, სსრკ-ის პ[illegible]

სამგო

გაღრი გეკოშვილი — [illegible] ტაკოის კანდიდატი, [illegible]

დავით გაგუნაშვილი [illegible] ჭაბუკთა I საკავშირო [illegible]

ზაზა ვაზაგაშვილი — [illegible] ლა, სამგო, სპორტის [illegible] ტრალური საბჭოს [illegible]

ალექსანდრე მირზაშ[illegible] სკოლა, სამგო, სპორ[illegible] ზიორი.

გელა უსოიანი — 54-[illegible] ქართველოს ნაკრები [illegible]

კახა ჟივიძე — სპორ[illegible] ტი, ემზადება IX [illegible]

ზაზა ქსოვრელი — 8[illegible] ტობის კანდიდატი, [illegible]

ვასილ ჯიოშვილი — [illegible] ლა, სამგო, სპორტის [illegible] ტრალური საბჭოს [illegible]

დავით ხოდელი — [illegible] ემზადება IX საკავშ[illegible]

სასტენდო სროლა

გაკურ გარათაშვილი [illegible] სტენდო სროლა, [illegible] საკავშირო სპარტაკ[illegible]

დავით ოდიშვილი — [illegible] რტის ოსტატობის კ[illegible] დისთვის.

შალვა ჯინიკაშვილი [illegible] ლა, სპორტის ოსტ[illegible]

სინქრონული ცურვა

ანჟელა ვოზნიუკი — [illegible] სპორტის ოსტატობის [illegible] ტაკიადისთვის.

სპორტული ტანვარჯიში

გურამ ეპიტაშვილი — [illegible] ჯიში, სპორტის ოსტ[illegible] სპარტაკიადისთვის.

ტრამპლინიდან ხტომა

კახაბერ წაქაძე — ბ[illegible] მა, სპორტის ოსტატ[illegible] ნაწილე.

ტყვიის სროლა

დავით აბულაძე — [illegible] ტის ოსტატობის კ[illegible] დისთვის.

მამუკა გოსტოლანა[illegible] სროლა, სპორტის ო[illegible] სპარტაკიადისთვის.

სოფიკო აროშიძე — [illegible] თაშორისო კლასის [illegible] რტაკიადისთვის.

დავით გინიაშვილი [illegible] რველთანრიგოსანი, [illegible]

თამილა თუთაძე — [illegible] სროლა, სპორტის ო[illegible] სპარტაკიადისთვის.

არტურ მიტინიანი — [illegible] თაშორისო კლასის [illegible] რტაკიადისთვის.

ანჟელა ოსიპოვა — [illegible] ტის ოსტატობის კ[illegible] დისთვის.

არტემ ძამოევი — 78[illegible] ოსტატობის კანდიდ[illegible]

ფარიკაობა

ჯემალ ანკვაბი — [illegible] ტობის კანდიდატი, [illegible]

მაკა ბრეგაძე — 26-[illegible] ტობის კანდიდატი, [illegible]

გელა ზვიადაძე — [illegible] ემზადება IX საკავ[illegible]

ზურაბ იოსებიძე — [illegible] ტატობის კანდიდატ[illegible]

ოლეგ კონიშვილი — [illegible] ოსტატობის კანდიდ[illegible]

დავით მატინოვი — [illegible] ტის ოსტატობის კ[illegible] დისთვის.

კახა მახარაძე — სპ[illegible] ოსტატი, ემზადება [illegible]

გოჩა მეგრელი — 28[illegible] ტობის კანდიდატი, [illegible]

ირინე სალუქვაძე — [illegible] ტის ოსტატობის [illegible] დისთვის.

დავით სახვაძე — [illegible] ტატობის კანდიდატ[illegible]

თეონა ურუშაძე — [illegible] ოსტატობის კანდიდ[illegible]

ოლეგ ჩერნიშევი — 87-ე სკოლა (თბილისი), ფარიკაობა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ნადეჟდა ჩიტიაშვილი — სკოლა-ინტერნატი (თბილისი), ფარიკაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ვერა ჰელიძე — მე-18 სკოლა (ქუთაისი), ფარიკაობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ფეხბურთი

ვალერი იაკოვლევი — მე-2 სკოლა (გაგრა, ბზიფი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე.
თეიმურაზ კაბისაშვილი — 117-ე სკოლა (თბილისი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე.
მიხეილ კალატოზიშვილი — მე-100 სკოლა (თბილისი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი, ევროპის პირველობის მონაწილე.
მერაბ კომახიძე — მე-100 სკოლა (თბილისი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი, ევროპის პირველობის მონაწილე.
გიორგი მაკასარაშვილი — მე-100 სკოლა (თბილისი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი, ევროპის პირველობის მონაწილე.
კახა ნადარეიშვილი — მე-100 სკოლა (თბილისი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი, ევროპის პირველობის მონაწილე.
გოჩა ნოზაძე — მე-14 სკოლა (ქუთაისი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე.
დავით პაიკიძე — სკოლა-ინტერნატი, ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე.
დიმიტრი პაპავა — გაგრა, სოფ. კოლხიდის სკოლა, ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე.
ჯაბა წიკლაური — მე-13 სკოლა (რუსთავი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე.
ზურაბ ჯორბენაძე — მე-100 სკოლა (თბილისი), ფეხბურთი, პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი, ევროპის პირველობის მონაწილე.

ფიგურული სრიალი

გიზო ბლიაძე — 130-ე სკოლა (თბილისი), ფიგურული სრიალი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ზამთრის VI სპარტაკიადის მონაწილე.
ვლადისლავ კუმაკუშაჯიანი — 152-ე სკოლა (თბილისი), ფიგურული სრიალი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VI სპარტაკიადის მონაწილე.
ლია სამხარაძე — 162-ე სკოლა (თბილისი), ფიგურული სრიალი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის ხალხთა VI ზამთრის სპარტაკიადის მონაწილე.

ფრენბურთი

მიხეილ აკოფოვი — 164-ე სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
გენადი გორლაძე — 161-ე სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ალექსანდრე კაზაკოვი — 136-ე სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ნინო მეტრეველი — მე-17 სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ნინა ოსიპოვა — 99-ე სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ანდრო ლეჟავა — 55-ე სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
გიორგი პაპასპირი — 50-ე სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ექსპერიმენტული ჯგუფი.
ავთანდილ ღოღობერიძე — მე-2 სკოლა (წყალტუბო) ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ექსპერიმენტული ჯგუფი.
ირინე ტომარაძე — მე-11 სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
გოჩა ჩაჩხიანი — 31-ე სკოლა (ქუთაისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ნინო ცნობილაძე — 137-ე სკოლა (თბილისი), ფრენბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

შაში

ჯუმბერ ბერიშვილი — 102-ე სკოლა (თბილისი), შაში, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, რესპუბლიკის ჩემპიონი.
ვისარიონ ენაკოლოპოვი — 36-ე სკოლა (თბილისი), შაში, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.
ელენე ტატიშვილი — მე-20 სკოლა (თბილისი), შაში, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ჩოგბურთი

ირინე გერაძე — მე-5 საღამოს სკოლა (თბილისი), ჩოგბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
დავით კაპარავა — მე-3 ექსპერიმენტული სკოლა, ჩოგბურთი, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
დავით კვარაცხელია — 30-ე სკოლა (თბილისი), ჩოგბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ცურვა

ვადიმ ილიუხინი — 25-ე სკოლა (თბილისი), ცურვა, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ალენა მარგიევა — 25-ე სკოლა (თბილისი), ცურვა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
გოჩა სვიმონიშვილი — 183-ე სკოლა (თბილისი), ცურვა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ცხენოსნობა

ზაზა შარაშენიძე — 112-ე სკოლა (თბილისი), ცხენოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი.

ძალოსნობა

კახა კახიაშვილი — მე-6 სკოლა (ცხინვალი), ძალოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშების მონაწილე.
ელგუჯა მინაძე — ვარკეთილის სკოლა, ძალოსნობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ჩემპიონი.

ძიუდო

არსენ აზალაძე — გორის რაიონის სოფელ ფლავის საშუალო სკოლა, ძიუდო, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი.
ტრისტან ბაშარული — კახეთის რაიონის სოფელ ოკამის სკოლა, ძიუდო, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
გიორგი გირგვლიანი — მესტიის რაიონის სოფელ ლატალის სკოლა, ძიუდო, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი.
გიორგი კოლუაშვილი — 35-ე სკოლა (ქუთაისი), ძიუდო, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ნიკოლოზ მართაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის სკოლა, ძიუდო, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ზურაბ ონიანი — სკოლა-ინტერნატი (თბილისი), ძიუდო, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშების III პრიზიორი.
ამირან ტოტიკაშვილი — მარტყოფის საშუალო სკოლა, ძიუდო, სპორტის ოსტატი, ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშების ჩემპიონი.
კახა ჟურასბედიანი — ლენტეხის სკოლა, ძიუდო, სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ზაზა ჩუბინიძე — 22-ე სკოლა (ქუთაისი), ძიუდო, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

წყალბურთი

გოჩა გაბიძაშვილი — მე-60 სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ირაკლი გოგეჯიშვილი — მე-60 სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
დავით გოგინოვი — 183-ე სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, საკავშირო პირველობის მონაწილე ახალგაზრდებს შორის.
გიორგი დანგაძე — მე-60 სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, საკავშირო პირველობის მონაწილე ახალგაზრდებს შორის.
დავით იაკოვლევი — 58-ე სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ალექსანდრე კაკოიშვილი — მე-60 სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, საკავშირო პირველობის მონაწილე ახალგაზრდებს შორის.
ალექსანდრე ლანჩავა — 58-ე სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ზაზა მასხულია — 183-ე სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, საკავშირო პირველობის მონაწილე ახალგაზრდებს შორის.
ვლადიმერ ოსიპოვი — მე-60 სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
დემურ პატარიძე — 58-ე სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
პაატა ჩიტაძე — 183-ე სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ნოდარ ჩოლარია — 25-ე სკოლა (თბილისი), წყალბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

წყალში ხტომა

გიორგი ჩოგოვაძე — 64-ე სკოლა (თბილისი), წყალში ხტომა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ჭადრაკი

ლალი თოდუა — ვანის საშუალო სკოლა, ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, გაგარინის ტურნირში გამარჯვებული.
ჰენრიეტა ლაგვილავა — მე-15 სკოლა (ქუთაისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი, 1985 წლის საქართველოს ჩემპიონი.
ნიკოლოზ მანაგაძე — 1-ლი სკოლა (ქუთაისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
ცირა მერეკლიშვილი — 137-ე სკოლა (თბილისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშების პრიზიორი.
ელგუჯა მორჩაძე — მე-8 სკოლა (ქუთაისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშების ჩემპიონი.
ხვიჩა სუპატაშვილი — მე-4 სკოლა (ქუთაისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშების III პრიზიორი.
კახა შალამბერიძე — 135-ე სკოლა (თბილისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, I საკავშირო ჭაბუკთა თამაშების III პრიზიორი.
ნანა შუბლაძე — მე-14 სკოლა (თბილისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირველობის II პრიზიორი. ჩარიცხულია პოლუგაევსკის პერსპექტიულ მოჭადრაკეთა სკოლაში.
ნინო გელაშვილი — 1-ლი სკოლა (თბილისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, თბილისის ჩემპიონი გოგონათა შორის.
მაკა ცხვედიანი—მე-2 სკოლა (ქუთაისი), ჭადრაკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატი, „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობის ჩემპიონი.

ხელბურთი

ნინო გამრეკელაშვილი — 167-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
სვეტლანა დევიძე — წყალტუბოს მე-4 საშუალო სკოლა, ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ირმა ზარნაძე — მე-4 სკოლა (სამტრედია), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
მარინა თუთბერიძე — მე-4 სკოლა (წყალტუბო), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
გია თხილავა — 21-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, „ბურევესტნიკის" გუნდის სათადარიგო მოთამაშე.
ანგელინა ლიმარენკო — 138-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისა და ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების მონაწილე.
სვეტლანა ლიხოტა — 159-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ელიზო მიმინოშვილი — მე-5 სკოლა (ფოთი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
გიძინა მინდელი — 102-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
სვეტლანა ნოვიკოვა — 33-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ელიზო ჟურულიშვილი — 167-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ზურაბ ტროყაშვილი — 64-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, „ბურევესტნიკის" სათადარიგო გუნდის მოთამაშე.
ლანა ჩერნაია — 33-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
ალა ჩურგანოვა — 33-ე სკოლა (თბილისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.
დავით შარაშენიძე — 25-ე სკოლა (ქუთაისი), ხელბურთი, პირველთანრიგოსანი, ემზადება IX საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ახალი შევსება მიიღო სპორტის 38 სახეობის ნაკრებმა გუნდმა. ეს სახეობები სპორტსახკომის ხელმძღვანელ მუშაკებზე ასე ნაწილდება: ნ. ენდელაძე (ფეხბურთი), ვ. შუბლაძე (აკრობატიკა, ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტანვარჯიში, ცურვა, სინქრონული ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა), შ. ქველიაშვილი (აფროსნობა, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარა და კანოე, ეროსპორტი, ჭიდაობის ყველა სახეობა, კრივი, თანამედროვე ხუთჭიდი, სროლა, მშვილდოსნობა, ფარიკაობა, ცხენოსნობა, ძალოსნობა), ა. მეტრეველი (ბადმინტონი, ბალახის ჰოკეი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, რეგბი, ფრენბურთი, შაში, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ხელბურთი), ვ. ლომაძე (ტრამპლინიდან ხტომა, ფიგურული სრიალი).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ Ს�პᲝᲠᲢᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲒᲐᲜ�გᲐᲨᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲦᲠᲛᲐ ᲤᲮᲚᲔᲑᲘ

კოლეგიის ამ სხდომაზე ხალხმრავლობა საგანგაშო ფაქტმა განაპირობა...

22 ივნისს თბილისში დანიშნული იყო საქართველოს პირველობის მატჩი ფეხბურთში: „სინათლე“ მასპინძლობდა ცხინვალის „სპარტაკს“. მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას 10 წუთი აკლდა, „სინათლემ“ გამოამეღვნა უკიდურესი უდისციპლინობა და მოედანი დატოვა.

ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით კოლეგიის სხდომაზე მოიწვიეს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების, სპორტკლუბ „სინათლის“, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, პროფკავშირის დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტის, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“, სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ: „მატჩის ჩაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მსაჯთა ბრიგადის (კვარაცხელია, წურწუმია, წულაია) დაგვიანებით გამოცხადება. მსაჯის ფუნქცია თავის თავზე აიღო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს თანამშრომელმა ა. ნიკოლაიშვილმა, რომელმაც დებულების გვერდის ავლით იკისრა მსაჯობა, მაგრამ ვერ შეძლო მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება. მოთამაშეების გაუთავებელი კონფლიქტი მსაჯთან დამთავრდა იმით, რომ „სინათლის“ სამმა მოთამაშემ დაიმახსოვრა ყვითელი ბარათი, რის შემდეგაც გუნდმა დატოვა მოედანი“.

მოხდა უდავოდ აღმაშფოთებელი ფაქტი: რესპუბლიკური პირველობის შეხვედრა ჩაიშალა დედაქალაქში, რომელიც სპორტული შეჯიბრებების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების მაგალითს უნდა იძლეოდეს. როგორც კოლეგიაზე გამოირკვა, მატჩის ჩაშლა გამოიწვია სხვა, უფრო სერიოზულმა მიზეზებმაც, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სპორტისადმი ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან. ასეთ ატმოსფეროში „სინათლე“, — ითქვა კოლეგიის სხდომაზე, — თანდათან მივიდა სრულ გადაგვარებამდე.

გუნდმა, რომელიც 60-იან წლებში ერთ-ერთი მოწინავე იყო და შრომით კოლექტივებს შორის სსრ კავშირის თასიც მოიპოვა, ბოლო წლებში სრულიად დაკარგა თავისი სახე. ფაქტობრივად ეს იყო ჯგუფი პირად მატერიალურ კეთილდღეობას გამოდევნებული ფეხბურთელებისა, რომლებისთვისაც, ისევე როგორც გუნდის ხელმძღვანელებისთვის, უცხო გახდა ქართული ფეხბურთის ინტერესები.

ფეხბურთელთა თავხედობა და საერთოდ, გუნდის გადაგვარება, როგორც გაირკვა, მთლიანად სპორტული კლუბის მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გულგრილი დამოკიდებულების შედეგია. ადმინისტრაცია და პროფკავშირული ორგანიზაცია (დ. გოგიჩაძე, ა. ვაშაკიძე) თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში სპორტული და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ. პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებასა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ: „ორი წლის განმავლობაში სპორტკლუბ „სინათლეს“ არ ჰყავს თავმჯდომარე. შემუშავებული არ არის დებულება, რომელიც განსაზღვრავდა თითოეული ქვეგანაყოფისა და რგოლის კომპეტენციას. სპორტსაზოგადოება „სპარტაკმა“, პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველომ ნაცვლად დახმარებისა, უწყებრივი ინტერესები და ამბიციები წამოსწიეს წინა პლანზე, რითაც ზიანი მიაყენეს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. „სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ (ა. მეგრელაძე) პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა (ი. კაკაშვილი) ვერ უზრუნველყვეს ჭეროვანი წესრიგისა და დისციპლინის დამყარება დაქვემდებარებულ სპორტულ კოლექტივში. ბოლო სამი წლის განმავლობაში პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს არც ერთხელ არ უმსჯელია სპორტკლუბის მუშაობის შესახებ. ამ კომიტეტის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. ჯიშკარიანი შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის დროს თავად შეიჭრა მოედანზე და გუნდმა მასთან ერთად დატოვა სარბიელი“.

უწყებრივი შეუთანხმებლობის შედეგია, რომ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველომ, მისმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა არაერთხელ დასვეს საკითხი, რათა ბოლო მოღებოდა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში კურიოზულ დარღვევებს, მაგრამ ამ თხოვნამ მხარდაჭერა ვერ პოვა პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებაში (ვ. ქურდიანი). „სინათლეში“ კვლავ გრძელდებოდა უპერსპექტივო ფეხბურთელების მიღება და სხვადასხვა ორგანიზაციაში მათი სამუშაოზე გაფორმება. „სინათლის“ ფეხბურთელთა გუნდი ძირითადად დაკომპლექტდა იმ ფეხბურთელებით, რომლებიც სხვაგან გამოირჩეოდნენ უდისციპლინობით, არღვევდნენ სპორტულ რეჟიმს და დაიმსახურეს დისკვალიფიკაცია. ამ გუნდში აღმოჩნდნენ არქანია და დემეტრაშვილიც... ვაჟა არქანია თავის დროზე უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი იყო. ახლაც ყველა სინანულით აღნიშნავს, რომ მისგან კარგი ფეხბურთელი არ დადგა. რატომ? იმიტომ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს არასწორი წარმოდგენა შეუქმნეს საკუთარ შესაძლებლობებზე, ხან სად იწვევდნენ და ხან სად. რამდენიმე წელიწადში მან რესპუბლიკის რამდენიმე გუნდში ითამაშა და ყოველი გადასვლა ახალ პირობებთან, დაუმსახურებელ შეღავათებთან, უშრომელ შემოსავალთან იყო დაკავშირებული. არქანია გამონაკლისი არ არის. თუ რა მაგალითს აძლევენ ასეთი ფეხბურთელები ადგილობრივ ნიჭიერ მოზარდებს, ყველასთვის გასაგებია. სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას: ფეხბურთელები, რომლებიც გუნდიდან გუნდში მოგზაურობენ, ამახინჯებენ მოზარდ სპორტსმენთა ოცნებას და წარმოდგენას, ჩირქს სცხებენ ფეხბურთს; ისინი ქართული ფეხბურთის მტრები არიან და აქ პასუხი, პირველ ყოვლისა, მათ ხელისშემწყობებს უნდა მოვთხოვოთ.

ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐᲜ: „სინათლეში“ არ თამაშობს არც ერთი პერსპექტიული ჭაბუკი ფეხბურთელი. გუნდში არ მიუღიათ „დინამოს“, „ავაზას“, „შევარდენის“, „ლოკომოტივის“ საფეხბურთო სკოლის არც ერთი აღსაზრდელი, მაშინ, როცა მისი მთავარი ამოცანაა სპორტული სკოლის დამთავრების შემდეგ დაოსტატების საშუალება მისცეს ჭაბუკ ფეხბურთელებს“.

კოლეგიაზე ითქვა ისიც, რომ „სინათლის“ ფეხბურთელთა გუნდით არც სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო დაინტერესებულა. უწესრიგობა და უდისციპლინობა რესპუბლიკური პირველობის მატჩებში იმითაც არის გამოწვეული, რომ ფეხბურთის სამმართველო მხოლოდ კალენდარული შეხვედრების ორგანიზაციას სჯერდება; ყურადღების მიღმა რჩება სელექციის, რეზერვის მომზადების, გუნდებში საწვრთნელი პროცესის, აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები. დარღვევები და უწესრიგობა გრძელდება, ფეხბურთის სამმართველო კი შემრიგებლობის პოლიტიკას ადგას, სპორტსახკომის ხელმძღვანელობის წინაშე არ სვამს დარღვევებისათვის პასუხისმგებელი პირების დასჯის საკითხს. დედაქალაქში ფეხბურთელთა გუნდების რიცხვისა და თამაშის ხარისხის ზრდისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენენ ქალაქის სპორტკომიტეტი და ფეხბურთის საქალაქო ფედერაცია. დღეს მილიონნახევრიანი ქალაქიდან საქართველოს პირველობაში მხოლოდ 4 გუნდი მონაწილეობს.

ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐᲛ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ:

მოწონებულ იქნეს ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება სპორტკლუბ „სინათლის“ ფეხბურთელთა გუნდის საქართველოს პირველობის გათამაშებიდან მოხსნის შესახებ. კოლეგია დაეთანხმა სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებას მწვრთნელ გ. ჯიშკარიანის სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე იმ შეხწორებით, რომ მას აეკრძალა მწვრთნელად მუშაობა. გუნდის მოთამაშეებს არქანიასა და დემეტრაშვილს აეკრძალათ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გამოსვლა.

სისტემატური არაკვალიფიციური მსაჯობა საქართველოს პირველობის მატჩებზე, რასაც ადრე სპორტსახკომმა არაერთხელ მიაპყრო ფართო საზოგადოებრიობის უურადღება, ამჯერადაც გახდა საგანგაშო შემთხვევის მიზეზი — ჩაიშალა თბილისის „სინათლისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ მატჩი. ამ ფაქტებთან დაკავშირებით სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი მწვრთნელი ა. აბულაშვილი განთავისუფლებულია სამუშაოდან.

იმისათვის, რომ უხეშად დაარღვია დებულების მოთხოვნები და თვითნებურად იმსჯა „სინათლე“ — „სპარტაკის“ მატჩში, დაისვა საკითხი, რომ სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს თანამშრომლის, ფეხბურთის ფედერაციის პასუხისგებელი მდივნის ა. ნიკოლაიშვილის ამ თანამდებობაზე დატოვება ჩაითვალოს მიზანშეუწონლად. სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ა. მეგრელაძის პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცეს საქართველოს პროფსაბჭოს.

სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს მუშაობა ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად. ამ სამმართველოს უფროსის გ. ბაქანიძის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების საკითხი განიხილება შვებულებიდან მისი დაბრუნების შემდეგ.

თბილისის ფეხბურთელთა გუნდებში აღმზრდელობითი მუშაობისა და საერთო კონტროლის შესუსტებისათვის თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ჯ. ბაგრატიონს მიეთითა.

ცნობად იქნა მიღებული საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ლ. ხარბედიას განცხადება იმის შესახებ, რომ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ადგილკომის თავმჯდომარის ა. ვაშაკიძისა და პროფკავშირის დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტის ფიზკულტურის ინსტრუქტორის ა. ჯიშკარიანის პასუხისმგებლობისა და თანამდებობაზე მათი დატოვების საკითხს განიხილავს რესპუბლიკის პროფსაბჭო.

კოლეგია აღნიშნავს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემურ საკითხებს ვერ წყვეტენ და ამ საქმისადმი ვიწროუწყებრივ მიდგომას იჩენენ ავტოტრანსპორტისა და საგზატკეცილო გზების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელები (ი. კაკაშვილი, რ. ლალიძე).

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგეს ვ. ქურდიანს მიეთითა. მიღებულია ცნობად საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილის ა. შანშიაშვილის განცხადება, რომ „სინათლის“ ფეხბურთელთა მატერიალური უზრუნველყოფის საქმეში დაშვებული დარღვევები საგანგებოდ იქნება განხილული და დამნაშავე ხელმძღვანელი მუშაკები მკაცრად დაისჯებიან.

ცნობად არის მიღებული პარტიის პირველი მაისის რაიკომის მდივნის შოთა კოხრეიძის განცხადება, რომ რაიკომი კომპლექსურად შეისწავლის სპორტკლუბ „სინათლის“ მუშაობას.

• • •

კოლეგიის ამავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სპორტსახკომში მასობრივი ფეხბურთისა და ოსტატთა გუნდების განყოფილების შექმნის შესახებ. კოლეგიის დადგენილებით ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა გადაკეთდა საფეხბურთო სკოლად, რომელშიაც მხოლოდ 17-21 წლის ნიჭიერი ფეხბურთელები ჩაირიცხებიან.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე სპორტსახკომის სისტემის სამეურნეო ორგანიზაციებსა და საბიუჯეტო დაწესებულებებში 1985 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კოლეგიამ საგანგებოდ განიხილა სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველ წრეში თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის გამოსვლის შედეგები და მიიღო ვრცელი დადგენილება. დაწვრილებით ამ საკითხზე ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გეცნობებით.

SOS

ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲝᲥᲛᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲬᲔᲠᲐ...

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲩᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲣᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝᲑᲐᲛ — ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲨᲘ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, რომელთა შესახებაც ამ წერილში უნდა მოგვითხროთ, გასულ კვირას მოხდა წულუკიძეში, ადგილობრივი „დილისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელთა შეხვედრაში (საქართველოს პირველობა, II ლიგა, ცენტრალური ზონა). მატჩს ემსახურებოდა თბილისელ მსაჯთა ბრიგადა ავთანდილ კოკაიას (არბიტრი), მამუკა აბაიაძისა და ვახილ სპანდერაშვილის შემადგენლობით. პირველმა ტაიმმა შედარებით ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ ტაიმის მიწურულს „მცირე“ ინციდენტი მაინც მოხდა: ერთმანეთი უწმაწური სიტყვებით „შეამკეს“ მახპინძელთა მეკარემ და სტუმართა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა. მსაჯმა მხოლოდ სიტყვიერად გააფრთხილა ისინი.

შეხვედრების შემდეგ მეტოქეებმა მეტი ორნდომებით გააჩაღეს ბრძოლა სასურველი შედეგის მისაღწევად, მაგრამ ამ ბრძოლამ აშკარად არასასიამოვნო სახითი მიიღო. სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როცა ჭიათურელთა ერთ-ერთი კონტრშეტევის შემდეგ ბურთი „დილის“ კარში აღმოჩნდა. „აუსაიტი იყო“, — ერთხმად იყვირეს „დილის“ ფეხბურთელებმა და... განსაცდელის ყამი დაუდგა გვერდით მსაჯს მამუკა აბაიაძეს.

რა თქმა უნდა, მსაჯის გადაწყვეტილებაში ჩარევა უურნალისტის უფლებებში არ შედის, ვერც მე გამოვიდებ თავს თამაშგარე მდგომარეობა იყო-მეთქი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ გვერდითი მსაჯი წულუკიძელი ფეხბურთელებისა და მათი გულშემატკივრების მჭიდრო ალყაში აღმოჩნდა და შეხლა-შემოხლა კარგა ხანს გაგრძელდა. ტრიბუნაზე აქა-იქ შემორჩენილი მაუურებელი სიცილით იგუდებოდა, როცა „ადიდასის“ ფორმაში გამოწყობილი ერთი ახალგაზრდა პანლიური „ოსტატურად“ უმახპინძლდებოდა გვერდით მსაჯს, შემდეგ კი, თანამზრახველებისგან წაქეზებული, მუშტებსაც არ იშურებდა. არც „დილის“ წევრები იყვნენ „უქმად“. როცა მდგომარეობა დაიძაბა, საქმეში არბიტრიც ჩაერია, მაგრამ ფეხბურთელები ამ შემთხვევაშიც დაუსჯელნი დარჩნენ. დიახ, არბიტრი ყვითელი ბარათის ნაცვლად... გინებით „უმახპინძლდებოდა“ მათ. როცა არბიტრი ლიბერალობასა და უპრინციპობას იჩენს, შეუძლებელია ხულიგნობის ალაგმვა და მატჩის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, გვერდითი მსაჯი კი, რომელიც აქამდეც გაუბედავად მოქმედებდა, სულ დაიბნა. სრულიად მარტივ სიტუაციაში ცდებოდა — ხან აშკარა თამაშგარე მდგომარეობას არ აფიქსირებდა, ხან კი სრულიად უადგილოდ სწევდა ალამს, ხან „ხურდას“ უბრუნებდა „რეცენზენტებს“.

დაიძაბა ისევ ვითარება. მახპინძელთა გუნდის ხელმძღვანელებმა მოითხოვეს, საქმეში მატჩის ინსპექტორი ჩარეულიყო. იგი გვერდით მსაჯს გაესაუბრა, ცოტა ხანში წულუკიძელებმა საპასუხო გოლიც გაიტანეს და ვნებათა ღელვა ახლა თუ ისე დაცხრა.

მატჩის შემდეგ არბიტრმა შეხვედრის ოქმი საგულდაგულოდ გადამალა, დამალა ყველაფერი რაც მინდორზე მოხდა, სიტყვიერად კი აი რა გვითხრა: ბურთის განზრახ გადაგდებისბვის გაფრთხილებულია ჭიათურელი ამირან გაჩეჩილაძე, მატჩს სამი წუთი დავუმატეო (არადა, ზემოთ აღწერილი ინციდენტის დროს შეხვედრა 6-7 წუთით შეწყდა). ბოლოს დახძინა, ოქმში მეტი რა უნდა ჩამეწერა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარაო.

ჩვენ კი გვგონია, რომ მოხდა აღმაშფოთებელი ფაქტი, სპორტული სარბიელი ლანძღვა-გინებისა და მუშტი-კრივის ახპარეზად იქცა, რის აღსაკვეთადაც, უწინარესად, სწორედ არბიტრს უნდა ეზრუნა. მაგრამ ა. კოკაიამ პასიური მეთვალყურის როლი ამკობინა. პასიურობდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკებიც, მილიციის წარმომადგენლები კი საერთოდ არ ჩანდნენ სტადიონზე.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ გაგვაცნო წულუკიძის „დილისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ მატჩის ოქმი, მსაჯებისა და ინსპექტორის მოხსენებითი ბარათები.

ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „თამაში არასპორტულ ვითარებაში ჩატარდა, სტადიონზე არ იყო წესრიგი, იგინებოდნენ მაყურებლები, ცემთ ემუქრებოდნენ არბიტრს, ისროდნენ ქვებს, შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გვერდით მსაჯს მ. აბაიაძეს — ჯერ უშუალოდ მინდორზე, შემდეგ — გასახდელ ოთახში. ხულიგნურად იქცეოდა „დილის“ კაპიტანი ბეგლარ ვაშაკიძე, გვერდით მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, აგრეთვე, წულუკიძის „იმერეთის“ ფეხბურთელმა ნასტორ ფარულავამ. აღნიშნული ინციდენტი განაპირობა იმან, რომ სტადიონზე არ იმყოფებოდნენ მილიციის თანამშრომლები, ფიზკულტურული მუშაკები კი თვითონვე გამომწვევად იქცეოდნენ“.

დაახლოებით იმასვე იმეორებენ შეხვედრის მსაჯებიც, მაგრამ ბოლოებას იწვევს ის, რომ ყოველივე ამის შესახებ მატჩის ოქმში სიტყვაც არ არის ნათქვამი. პირიქით, ოქმიდან ირკვევა, რომ სტადიონზე თურმე, სრული წესრიგი სუფევდა, ორივე გუნდის მოთამაშეები და მაყურებლები ნორმალურად იქცეოდნენ“.

რედაქცია იმედოვნებს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია დეტალურად გაერკვევა საქმის ვითარებაში და პრინციპულ გადაწყვეტილებას მიიღებს.

• • •

გუშინ საღამოს რედაქციაში ოფიციალური განცხადება შემოიტანეს ჭიათურის კომკავშირისა და სპორტკომიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა. რედაქცია კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხს.

რედაქტორის მოადგილე
თ. ᲑᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲘᲓᲒᲔᲡᲘ: 66455. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბოზარიულის ქ., 29. უე 07541